

საქართველოს კანონი  
„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“  
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სანიტარიული ჭრის განმახორციელებელი რესურსის მოსაკრებლის გადახდისას იხდის სამასალე მერქნისათვის დადგენილი მოსაკრებლის 60% -ს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი